იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფასი:
წლიურათ . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ.
საზღვარგარეთ: წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 24
წელიწადი პირველი
1912
ოთხშაბათი, 24 ოკტომბერი

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, ვ. ი. ჭილაძის სახლში, (ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ამა 1912 წ. 26 სექტემბრიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური
ქართული გაზეთი

იმერეთი

✖ (წელიწადი პირველი) ✖

გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . . 7 მანეთი.
ნახევარი წლით . . 4 მანეთი.
ერთი თვით . . . 4 აბაზი.
ცალკე ნუმერი . . . შაურათ.

1 ოკტომბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს 2 მანეთად. მოწაფეებსა და სოფლის მასწავლებლებს დაეთმობათ მანეთ ნახევრათ.

მისამართის გამოცვლა—10 შაური.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი ღირს 6 შ., მეოთხეზე აბაზათ, შიგნით გვერდებზე მორიგებით. **სამგლოვიარო** განცხადება—3 მანეთად.

ფული და გაზეთის ყოველივე საკანტორო ანგარიში უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Въ гор. Кутаисъ, редакція и контора газеты „Имерети“

Антону Михаиловичу Жeладзе. სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

პაებზე დაფუძნებული ამხანაგობა

ს. მ. კირაკოზოვის და ზ. გ. ოგანოვის

ქ. ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი.

მომავალი ამა სეზონისთვის მიღებულია აუარებელი და დიდძალი ასარჩევი საქონელი: აბრეშუმის, შალის, მაუდის, მატყლის, ტილოსი და ბამბისა.

დიდი სარჩევი:

პლიუშის, ველვეტის, საბნების, ნოხების, „დაროჟკის“, გორდონი ტიულის, ბრეზენტის, ტილოსი, ჯუტის და ყოველნაირი მაუდების და ფორმის მატერიების სამხედრო და სამოქალაქო უწყებათათვის და ყველა სასწავლებლისთვის.

სუფრის ჩაის და ლოგინის თეთრეული, სერვიზები ყოველნაირი ბამბაზეა, შოტლანტა და ვიგონები.

მაღაზია და საწყობში სავსეა სეზონის ახალ-მოდის საქონლით.

რადგანაც ჩვენს ამხანაგობაში მონაწილენი არიან სხვილი და გამოჩენილი ქარხნების პატრონები ქ. მოსკოვისა, ამისათვის ფასები დანიშნულია რიგიანი და შეუვაჭრებლათ.

მიიღება აგრეთვე დაკვეთა ყველა სახელმწიფო, და კერძო დაწესებულებათათვის ნარდ ფასათ.

ქუთაისის განყოფილება.

გაზეთი „იმერეთი“ იყიდება მესხეთის ქუჩაზე მოვაჭრე ამროსი ხვინგიასთან. იქვე მიიღება ხელის მოწერაც.

ქნ. ოლინკა ლორთქიფანიძისა, ოსანა კახიანისა, ნინო კანდელაკისა, მატრონე იაშვილისა, ელენე ბახტაძისა და ფარნაოზ ლოლობერიძის ასულნი და ძე და სიძენი: თ-დი პარმენ გიორგისძე ლორთქიფანიძე, მამანტი პავლეს ძე კანდელაკი და კონსტანტინე გიორგის ძე იაშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველნი უსაყვარლესი დედისა და მეორენი ძვირფასი სიდედრის

ფოტინე ლოსაბერიძისა ლორთქიფანიძის **ასულის**

გადაცვალებას; უკანასკნელი გამოთხოვებისა და დაკრძალვის დღე დანიშნულია ამა ოკტომბრის 25-სა, დილით ხუთშაბათს სოფ. პატარა-ჯიხაიშში მამანტი კანდელაკის სახლში.

პირდაპირ **ნახევარ ფასათ** იყიდება!.

ახლათ მიღებული საქონელი **შემთხვევით ნაყიდი** და პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. **გაყიდვა დაიწყება** დღეის რიცხვიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში, **ბულვარის პირდაპირ** ძმ. ოცხელების შენობაში ახვლედიანის მაღაზიის მეორე განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონელი: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კოსტუმები. 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშვების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვების საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, საუკეთესო ღირსების და გამოჩენილი ქარხნების აბრეშუმის იუბკები, შალის კაბის ქვედა წელები, რუბაშკები და სარუბაშკეები ნაჭრობით; **კალოშები**, კაცის, ქალისა და ბავშის, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ღია წერილის ალბომები, ქალის და კაცის ქამრები და საქამრე რეზინები და სხვა მოწყობილება მისი, ყოველნაირი რეზინა წვივსაკრავისთვის და აგრეთვე მზა წივსაკრავი ქალთა და ბავშთათვის. **სამუსიკო** იარაღები სასიამოვნო ნოტებით, კორსეტები და სხვა. **ამასთანავე მოვახსენებთ პატივცემულ საზოგადოებას,** რომ ახვლედიანის მაღაზიაში არის ახლადვე მიღებული დიდძალი საგალანტერეო საქონელი მზა ტანისამოსები და ფეხსაცმელები კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს კიდევ ვღებულობთ ყოველდღე.

ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ. პატივისცემით **ა. ახვლედიანი.**

იულიუს საარევ

მოიჯარადრე ქუთ. ქალ. ქუჩების ნავთით განათების

და

მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ქუთაისის და ბათუმის მაზრისა ამ მშვენიერ ხანგძლივ ფარნებისა

✖✖ **იგა ი. ნ.** ✖✖

ყურადღებით მიმსვლელებსა

მისამართი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი. ტელეფონი № 18.

პარიზის ჭრა-კერვის კურსები

ს. ა. ალიბეგოვისა

დილა-საღამოს საათის მაცადინობით ექვსი თვის განმავლობაში ათავებენ პ. ქ.-კ. მთელ კურსს. კურსდამთავრებულთ ეძლევათ მოწმობა: **მისამართი:** ქუთაისი, ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლი, ნახვა შეიძლება. 10—7 საათამდი.

მიაქციეთ ყურადღება!

✖ **გ. დ. კაჭკაჭოვის** ✖

ახლათ გაღებული ფართლეულობის

მაღაზია

ბულვარის პირდაპირ.

მივიღეთ და ყოველდღე ვღებულობთ დიდძალ ახალმოდის საზამთრო მატერიებს: შალეულს, მაუდეულს, აბრეშუმეულს, ტილოს, ბამბეულს, მაგიდის ყოველნაირ გასაწყობს. აგრეთვე „რუბაშკებს“ შალის, აბრეშუმის, საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ტულის ფარდებს.

საქონელი იყიდება სხვა მაღაზიებთან შედარებით, დაკლებულ ✖✖✖ ფასათ და უვაჭროთ. ✖✖✖

განსაკუთრებით მოწაფეებს ფორმის ტანისამოსზე 5 პროც. შეღავათი ეძლევათ.

მიაქციეთ ყურადღება!

მიაქციეთ ყურადღება!

ОБЪЯВЛЕНІЕ.

Кутаисское агентство Русскаго общества пароходства и торговли симъ объявляетъ, что въ 10 час. ут. 20 ноября сего 1912 г. въ складѣ его, что на Воронцовской ул. въ домъ Габунія назначены **ВТОРЫЕ ТОРГИ** на продажу мануфактурныхъ товаровъ, прибывшихъ изъ Москвы по коносаментамъ за № № 3742 и 3778 и непринятыхъ грузополучателемъ въ установленный § 11 уст. О-ва срокъ.

განცხადება.

რუსის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების სააგენტოში ვარანცოვის ქუჩაზე ფარნა გაბუნიას სახლში, დილით 10 საათზე, 20 ნოემბერს ამა 1912 წ. მეორეთ დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** ფართლეულობის საქონელზე, რომელიც გამოგზავნილია **მოსკოვიდან** კონოსამენტებით № № 3742 და 3778, და რომელიც საქონლის მიმღებმა საზოგადოების წესდების მე-11-ე §-ის ძალით დანიშნულ დროზე არ გამოიყიდა.

ალექსანდრე კოსტავას

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზიაში

თფილისის ქუჩაზე, აფთიაქთან.

ახლათ მივიღეთ: კოსტიუმები, საშემოდგომო და საზამთრო პალტოები, აგრეთვე მოწაფეებისათვის, საწვიმარი მოსახურავები და სხვა შეკერილი ტანისამოსი. ყველაფერი მეტათ დაკლებულ ფასათ იყიდება, რადგანაც ნაღდზე მაქვს ნაყიდი და მექარხნეებმა ძლიერ დამიკლეს ფასები. აგრეთვე ვღებულობ „ზაკაზებს“ ძლიერ ხელმისაცემ ფასათ, გვაქვს რუსული და ევროპიული ყოველგვარი საკოსტიუმო მატერია კაცებისათვის.

აქიმი ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე: ყელის, ცხვირის და ყურის სნეულებით ავათმყოფებს.
თფილისის ქუჩა, სახლი ნიჟარაძისა.

ბებია ქალი ე. ი. **ბუდაგოვსკისა,** ვკურნავ კან-ქვეშ შესაშხაპუნებელი წამლით. ივანოვის ქუჩა, სახლი ბაჯიოღლისა № 20.

აქიმი ვ. დ. ნასარიძე და მისი და **ე. დ. ნასარიძის ასული** გადავიდენ ახალ ბინაზე, იქვე ძველი ბინის პირდაპირ **რ. ს. მზიკოვის** სახლში.

აქიმი ი. ჩარექოვი
დაბრუნდა აგარაკიდან და იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით **კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყოფებს.** დილის 12 საათ. 2-დი; საღამოს 5—7.
ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი იოსელიანის სახლი.

აქიმი ვ. ს. ფეშინი ქირურგიული და საშარდის ავათმყოფობა (ცისტოსკოპია საშარდე) ბუშტის ელექტრონით გამოკვლევა კატეტერიზაცია თირკმლის. მიღება 12—2 საათ. და 4—6 ს. გოშპიტ ქ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი
მ. ტ. ბალანჩივაძისა.
ქვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება. ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით, კან-ქვეშ შესაშხაპუნებელი წამლით და ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაკეცებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და სახის ყოველგვარ ავათმყოფობას.
მენერლის ქ. აქიმის **ს. ლორთქიფანიძის** სახლებში.

აქიმი ბ. ა. მირაქოვი ღებულობს შინაგან, ყელის, ცხვირის, და ყურის სნეულობით ავათმყოფს. დილის 8—12 ს. და საღამოს 5—8 ს.
ლევაშოვის ქ. საკუთარი სახლი № 19.
შეიძლება ივანოვის ქუჩიდანაც № 18.

აქიმი ი. ტოგონიძე.
იღებს შინაგან, ქალის სნეულებითა და საბებიო ავათმყოფთ.
ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ, **ჩელინგაროვის** სახლი.

დღიური.

სტამბოლიდან ცნობაა—პორტამ დიდ სახელმწიფოებს სთხოვა—ომი შესწყვიტეთ და მშვიდობიანობა დაამყარეთო.

— სოფელ **პიკალში** ოსმალებმა ორასი ქრისტიანი მოკლეს.

— **სტამბოლსა** და **ადრიანოპოლს** შუა მიმოსვლა განახლდა.

ხმელთა შუა ზღვაში მყოფმა **გერმანიის** სამმა კრეისერმა ბძანება მიიღო **ოსმალეთში** მყოფი **გერმანიის** ქვეშევრდომები დაიფაროს.

— **პეტერბურგის** საერობო კრებამ დაადგინა—იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, რათა არჩევნების მიერ გამოწვეული ხარჯები ხაზინამ გადაიხადოს.

კიევიდან 25 ბულგარელი სტუდენტი წავიდა ბრძოლის ველზე.

— 265 არჩეულ დეპუტატში 103 მემარჯვენეა, 52 პროგრესისტი, 28 სოციალდემოკრატი და სხვა მემარცხენე პარტიის მომხრეა.

— **ბაქოში** მილიონერი **იბრაჰიმოვი** ნათესავმა **ბაევემა** მოკლა.

— **ოსმალეთის** მთავრობამ **სერბიის** მშვიდობიანობის ჩამოგდების წინადადება მისცა. **სერბიამ** ეს **ბულგარეთის** მეფეს **ფერდინანდს** აცნობა.

— **ოსმალეთმა** 53 აფიცერი **კირკილისთან** ბრძოლის დროს უკან დახევისათვის სიკვდილით დასაჯა.

— **უსკიუბში** ოსმალთა ჯარის უფროსი აფიცრებმა მოკლეს.

— **ბულგარეთიდან** კორესპონდენტებს ცენზორის გადაუთვალიერებლათ დეპეშ არ აგზავნიებენ.

· **სტამბოლსა** და **სალონიკს** შუა რკინის გზით მიმოსვლა შეწყდა.

— **ადრიანოპოლში** მყოფი **ოსმალეთის** ჯარი კრიტიკულ მდგომარეობაშია.

— **ხმა** გავრცელდა **რუსეთი** ბულგარეთს იარაღს უგზავნისო. **პორტა** რუსეთის ამგვარ მოქმედებაზე პროტესტს აცხადებს.

— **ოსმალეთის** ყოფილი პრემიერ მინისტრი **ავსტრიის** სატახტო ქალაქს მივიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზიზღარი მუქარა

ლეჩხუმის გლეხთა წარმომადგენელს—ფრუიძეს ემუქრებიან, მოგკლავთ, რადგან ფედერალისტების კანდიდატს ხმა მიეციო.

ფრუიძემ ამრჩევლის მოვალეობა პირნათლად შეასრულა. მან აირჩია ის, ვისაც საზოგადოთ მშრომელი ხალხისა და კერძოთ გლეხების ინტერესების დაცვა მიზნათ აქვს დასახული. ვარლამ გელოვანი „შრომის ჯგუფში" მუშაობას აპირებს და, კიდევაც რომ არ ვიცნობდეთ, მარტო ეს ფაქტიც კმარა იმის დასამოწმებლათ, რომ ის „ბურჟუა" და თავადი არ არის.

მაგრამ არც სოციალდემოკრატებივით გაითქვიფება ხსენებულ ჯგუფში და თავის ეროვნულ ვინაობაზე ხელს არ აიღებს. ის განსაკუთრებით ქართველი მშრომელი ხალხის ეკონომიურსა და ეროვნული ინტერესების თავგამოდებული და მედგარი დამცველი იქნება.

თფილისისა და ბათომის დეპუტატები, როგორც სოციალდემოკრატები, უმთავრესათ რუსეთის საქმეებზე ილაპარაკებენ. ქართველი გლეხობის პირ-ვარამის გამომთქმელი და მედგარი დამცველი მარტო ვარლამ გელოვანი იქნება.

და როგორ საკვირველი არ არის, ფრუიძეს ლეჩხუმის გლეხთა ამრჩეველნი, რომ საყვედურს ეუბნებიან, ფედერალისტებს რატომ მიეცი ხმაო!

წავიკითხე ერთი იქაური გლეხის წერილი და გავოცდი. ჯერ ერთი, წერილის კილო, შინაარსი და ენა ცხადათ მოწმობს, რომ ის ვინმე ფანატიკოს სოციალდემოკრატებს ეკუთვნის. ორში ერთი უნდა ვიფიქროთ: წერილის დამწერი ან თვითონ არის პარტიულ ქსელში გაბმული და ფანატიკოსი, ანდა მოტყუებულია. ვფიქრობ რომ მეორე შემთხვევა უნდა იყოს ნამდვილი, რადგან ჩვეულებრივი გლეხი არაოდეს არ ყოფილა ფანატიკოსი.

ვიღაც მაწანწალებს დაუვლიათ ლეჩხუმი და აუღელვებიათ გლეხთა ამრჩეველნი, ფრუიძემ გაგცათ, მემარჯვენე, ბატონ-ყმობის მომხრე აირჩიაო.

სამწუხაროა, რომ გლეხს დღემდის ვერ შეუგნია, რომ გლეხობისათვის ფედერალისტთა პროგრამა უფრო ხელსაყრელია, ვიდრე სოციალდემოკრატებისა.

რომ ფედერალისტები უკიდურესი მემარცხენე და დემოკრატია, ეს ცხადია იმისთვის, ვისაც თვალი არ დაბრმავებია.

და ვისაც კი ფედერალისტის ან სოციალდემოკრატის პროგრამა არ გაუცვნია, ის კი მოვალეა ქუჩაში გაგონილ ჭორებს არ აყვეს და ერთ-ორ კვირას მაინც კიდევ მოითმინოს, ვიდრე სათათბიროში დეპუტატები სიტყვებს არ წარმოსთქმენ: მაშინ ყველაფერს დაინახავს.

ნამდვილათ ვიცით, რომ ლეჩხუმელ გლეხებს არ დაუვალებიათ ფრუიძისათვის, გინდა თუ არა, შენი ხმა სოციალდემოკრატების კანდიდატებს მიეციო. მხოლოდ ეს უთხრეს: მემარცხენე, გლეხთა ინტერესების დამცველი აირჩიეო. და მან ეს დავალება პირნათლად აასრულა და თავისი ხმა იმას მისცა, ვინც ქართველი გლეხის ინტერესების დაცვა თავს იდო. და მადლობის ნაცვლათ ემუქრებიან, მოგკლავთო! რას მოვესწარით! მეოცე საუკუნეში კაცსა სდევნიან იმიტომ, რომ თავის რწმენას ემსახურება! ნუ თუ საქართველო ისე დაეცა, რომ შესაძლებელი შეიქნა ინკვიზიციის აღდგენა, რწმენის დევნა, რომელსაც ევროპაში საშვალ საუკუნეებში აწარმოებდნენ და, როგორც საშინელ ისტორიული უბედურებას, დღემდი გლოვობენ და სტირიან?!

საზოგადო მოძრაობის დროს ბნელი ძალებიც ამოტივტივდება ხოლმე და ბოროტებასა სთესვენ. თითოეული პარტია მოვალეა ისინი თავიდან მოიშოროს, მათი საქციელი დაგმოს, მათი ძალმომრეობა ალაგმოს. პარტიამ თუ პირიქით მათ ხელი დააფარა და თავისი მიზნისთვის მოიხმარა, მაშინ ისინი პარტიის სახელით ბევრ საზიზღრობას ჩაიდენენ და პარტიის ჩირქს მოსცხებენო.

როგორცა ვსთქვით, ფრუიძეს სოციალდემოკრატიის სახელით ემუქრებიან. ადვილი შესაძლებელია ამ ჭორმა რომელიმე განუვითარებელსა და შეუგნებელ ფანატიკოსს ბოროტი საქმე ჩაადენინოს. და სოციალდემოკრატიული პარტია მოვალეა, თუ უნდა, მის სახელს ჩირქი არავინ მოსცხოს, გააფრთხილოს ეს ბოროტი ადამიანები, რომელიც კაცის სისხლი მოსწყურებიათ, საჯაროთ დაგმოს მათი საზიზღარი განზრახვა და განაცხადოს პრესის საშვალებით, რომ პარტიას მათთან საერთო არაფერი აქვს.

ეს აუცილებელია, როგორც პარტიის სახელისთვის, აგრეთვე პარტიული ურთიერთობის მოსალოდნელი გამწვავების ასაცილებლათ.

პარტიათა შორის ბრძოლა, რაც უნდა გამწვავდეს, საზღვარს არ უნდა გადასცდეს. აზრი აზრს უნდა ებრძოდეს, ბრძოლა იდეათა, პრინციპთა ნიადაგზე უნდა სწარმოებდეს! ყოველ გვარი სხვა საშვალება დასაგმობია. და ჭირსა და ცილის წამებას, რომელსაც ბრძოლის იარაღათ ხმარობენ, თუ კიდევ სისხლის ღვრაც მიუმატებს, მაშინ მშვიდობით, საზოგადო საქმე! ხალხი პარტიებს ზიზღით ზურგს შეაქცევს და მისი შეგნება დაგვიანდება.

ველით პასუხს.

დიმიტრი ყიფიანი.

დღეს ოცდახუთი წლის თავია მას შემდეგ, რაც დიმიტრი ყიფიანი მოკლეს.

ეს დღე მწარე კვნესით მოსაგონებელია ყოველი ქართველისათვის.

როდესაც ქართველი ერი მოიგონებს ისტორიულ გმირს, მეფე დიმიტრი თავდადებულს, ამის სეხნია დიმიტრი ყიფიანიც მოაგონდება, რომელმან, მსგავსად თავის დიდებული წინაპრისა, თავი დასდვა ქართველი ერისათვის, სიცოცხლე გაიწირა მისი კეთილდღეობისათვის.

როცა ისტორია ასწერს მეფე დიმიტრის თავდადებულის ამბავს, ამ კითხვაზე:—რა ვიყავით, ვინ ვიყავით ჩვენ ქართველნი ქველსა დროსა?-ო—პასუხსაც, პასუხს უტყუარს გვაძლევს.

და ვართ ამ დროის ქართველნი, როცა დიმიტრი ყიფიანისებური თავდადებულნი ჩვენთვის თავსა სწირვენ—ისტორია ამის უტყუარ პასუხსაც მოგვთხოვს, ცხადია.

რა პასუხს გავცემთ? რა საბუთს მივსცემთ ისტორიას, რომ ამ საბუთის ამოკითხვის დრო ჩამომავლობამ ღირსეულათ პატივისცემით მოგვიხსენიოს თანამედროვე ქართველები, რომელნიც დიმიტრისებური დიდი-ბუნების ადამიანების თავდადების მუნჯი მოწმენი ვყოფილვართ?..

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

დღეს, 24 ოკტომბერს ოცდახუთი წელიწადი შესრულდა რაც დიმიტრი ყიფიანი სიცოცხლეს გამოასალმეს,

✦ აკაკი ჩხენკელი, როდესაც 20 ოკტომბერს საარჩევნო კრების დარბაზში შესულა, პოლიციელებს დაუპატიმრებიათ. იგი დააპატიმრეს, როგორც დონის როსტოვში გადასახლებული და იქიდან თავის ნებით დაბრუნებული. ჩხენკელი დეპუტატათ არჩევას შემდეგ გაუთავისუფლებიათ.

✦ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე შ. შარაშიძემ შეამდგომლობა აღძრა—გამოსცეს ქუთაისში ყოველკვირეული ჟურნალი „ჩვენი თეატრი".

✦ თფილისიდან საცენზურო კომიტეტს უცნობებია მ. ქორელისათვის—იმ სახით ალმანახის გამოცემა. რა სახითაც თქვენ სცემთ აკრძალულიაო.

✦ ჩიბათიდან (გურია) გვატყობინებენ: აქაურ პირველ დაწყებით შკოლაში ქართულის არ მცოდნე რუსი მასწავლებელი გერასიმოვი დანიშნესო. მოწაფეებს მასწავლებლის არაფერი ესმით და მასწავლებელს მოწაფეებისაო.

ასეთივე ცნობა სუფსიდანაც მოგვივიდა, სადაც რუსი მასწავლებელი ქალი დაუნიშნავთ.

✦ ხონის სამკითხველო ახალგაზრდების საპაიმანო ბინათ გადაიქცაო, გვწერენ. მოიყრიან თავს და გააბმენ კამათსა და დავასაო...

✦ 2 ნოემბერს ლანჩხუთში იქაური თეატრის სასარგებლოთ მ. იმნაძის თაოსნობით წარმოდგენა გაიმართება.

✦ ამ ახლო ხანში ნ. ნიკოლაძის მონაწილეობით ფოთში რუსულ ენაზე ყოველ-დღიური გაზეთი „რიონი" გამოვა.

✦ ნამესტნიკის განკარგულებით კავკასიიდან გადაასახლეს ფოთში მცხოვრები. ბოგვაძე, მარშანია, იმნაიშვილი კიზირია და წულაია.

✦ ელექტო თეატრ „რადიუმში" ამ ჟამათ დროის შესაფერ სურათებს აჩვენებენ. გუშინ აჩვენეს სურათები ჩერნოგორიის ცხოვრებიდან.

✦ 21 ოკტომბერს, ყვირილის სამაზრო სატუსაღოდან ჩამოიყვანეს და საგუბერნიო სატუსაღოში მოათავსეს ამას წინათ სოფ. ლეღვთში დაჭრილი შალვა ჩიქვინიძე. მას შარშან სატუსაღოდან გაქცევა ბრალდება.

✦ 22 ოკტომბერს, ზუგდიდის სამაზრო სატუსაღოდან ეტაპით 40 პატიმარი ჩამოიყვანეს და ყველა საგუბერნიო სატუსაღოში მოათავსეს.

✦ ქ. სატუსაღოს განცხადების ძალით, პატიმართა ნახვის მოწმობები მიიღება მხოლოდ დილის 11 საათიდან პირველ საათამდი.

✦ 21 ოკტომბერს, საგ. სატუსაღოს აქიმმა ბ. ხუნდაძემ სატუსაღოში ლექცია წაიკითხა—„ჭლექთან ბრძოლა".

მოწერილი ამბავი.

ს. სამიქაოს საზოგ. (სენაკის მაზ.)

ეს საზოგადოება შვიდი სოფლისაგან შესდგება. აქაური სასწავლებლები და სასამართლოები ყველა სამიქაოს სახელზეა დაარსებული და სხვადასხვა სოფლებში კია მოთავსებული. ამიტომ ბევრ მასწავლებელსა და სასამართლოს კაცს ზედმეტი სიარული უხდება. სწავლა-განათლების მხრითაც ჩამორჩენილია ეს სოფელი; მას ალვიძებს ერთად-ერთი სოფლის სასამართლო. სხვა საქმისადმი

ალი-ქიშვარდი.

(მოთხრობა).

(დასასრული იხ. „იმერეთი").

X.

ჯავახმა კარგათ განსაჯა, ალიმ მართლაც თითქო ერთი მოსმით ჩაწერა ის სახელები. მეორე წამში აღარც კი ახსოვდა.

შინ რომ მივიდა, კარებში ჩვეულებრივათ ბულიეთარ გამოეგება. ალი უცნაურმა ცახცახმა აიტანა. რა იყო მიზეზი—თავისთვის ანგარიში ვერ მიეცა,—რომ სწორეთ ამ წამში გაახსენდა ბედკრული მშობლები, შვილს რომ დაეძებდენ.

ბულიეთარს სურდა მიალერსებოდა, ალიმ მოიშორა იგი და თავის ოთახს მიაშურა... კარებში შემოტრიალდა და ბულიეთარს საშინელის თვალით დააშტერდა-

— ალი, რა ფერზე ხარ, ავათ ხომ არა ხარ?—შეშინებული დაეკითხა ძმას.

— ჰო, ჰო... ავათა ვარ... სულითა ვარ ავათ—მთრთოლვარე ხმით ეუბნებოდა ალი და თან ანიშნებდა, არ მიკარებოდა.

— ავათ! წავიდე დედას ვუთხრა?..

— არა! ნურავის ეტყვი. შენ თვითონ შემოდი ცოტა ხანს შემდეგ და მომიარე...

ალიმ სწრაფათ მოიბრუნა პირი და შევარდა ოთახში. ბიულიეთარ იმავ ადგილს დარჩა და უცდიდა, როდის გაივლიდა, ცოტა ხანი.

გონება არეული ალი შუა ოთახში შედგა და ხელების კანკალით უბის წიგნაკს ფურცლავდა, ეძებდა, სადაც ჩაწერა ის სახელები:—ლევან!., ესმა!.. ქიშვარდი!.. ჯავახ!.. ალი შუბლის კანს—იშრუშნიდა, თითოეულ სახელის ამოკითხვაზე წარმოუდგენელი მღელვარება ემჩნეოდა... აჰა! ცხადია! თვით ცხადზე უცხადესია... ამეხილა თვალი! ლევან!—ეს მამაა ჩემი! ესმა—დედა! მე ქიშვარდის მავონდება მისი ნანა... ჯავახ!—ნათლია... ის ლაპარაკი... სხვა ენა... ღმერთო ჩემო... ჯავახი არ იყო, ქუჩაში რომ ჩემზე მიუთითა მათ... აქაც კიდე... ბიულიეთარ!? თუ იგი ღვიძლი და იყოს ჩემი,—რა არის ასეთი გრძნობა?!., ცხადია—მე აქ უცხო ვარ!.. ყავახანაში!

ალი კარისკენ შემოტრიალდა... უეცრივ შედგა და დაიძახა:—ბულიეთარ?!..

ბულიეთარ იქვე კარს გარეთ იდგა, გაიგონა მისი სახელი და კარი შეაღო...

ალის ერთსა და იმავე დროს ბულიეთარ ანგელოზათაც და სატანათაც მოეჩვენა... ანგელოზს თან სატანაც დადევნებოდა, რომელიც გზას ულ[illegible] მამისაკენ გაშურებულს დაკარგულს შვილს.

— გეძახდი, ალი?

— ჰო, დაგიძახე!.. მინდა ჩემთან იყო... მუდამ ჩემთან განუშორებლათ... ხომ გიყვარვარ... რომ გითხრა, ხომ წამომყვები, სადაც მოვისურვებ...

— ალი, რა დაგმართია... შენ ავათა ხარ... შუბლი, ხელები ცხელი გაქვს... მოსვენება გინდა... ავათა ხარ...

— არა ვარ ავათ!.. ვიყავი ავათ—მართალია... აი, ახლა მოვრჩი... ბრმა ვიყავი დღემდის, დღეს ვიხილე სინათლე... მითხარი მოდიხარ ჩემთან... მივეშურები... ხომ გეყვარები...

ალი მკერდს იკონებდა ბულიეთარს, კოცნიდა და თავისკენ იზიდავდა...

— ალაჰ!... მოახერხა მხოლოდ შეშინებულმა ბულიეთარმა.

— ნუ ახსენებ შენს ღმერთს!—შეუყვირა ალიმ... მე სხვა ღმერთი მყავს!.. ჩვენ სხვადასხვა ვართ... მაგრამ სიყვარულმა ეგ არ იცის... მე შენ მიყვარხარ ბულიეთარ წამოდი ჩემთან...

ბულიეთარს ფაშას ყვირილი მოესმა, რომელიც ალის ოთახისკენ მიდიოდა. ფაშამ ფეხს აუჩქარა...—თმა გაწეწილი, გაფითრებული ბულიეთარ ფაშას კარებში შეეფეთა...

— მამა, მამა!... ალი ჭკუიდან შეცთა!..

გულშემოყრილი ასული, ფაშამ ხათუნს შეუყვანა და იმავ წამს ალისთან დაბრუნდა.

შვილის დანახვამ სოლეიმან ფაშას თავზარი დასცა, ერთი შეხედვით ალი გიჟსა გავდა. იგი ოთახის ერთს კუთხეში გაქვავებულიყო და მრისხანე თვალებით მეორე კუთხისაკენ გაიყურებოდა... რაღაც აუწერელი ღიმილი სახეზე უკრთოდა.

— ალი!—მოკრძალებით დაუძახა ფაშამ... ალი არ გაინძრა.—ალი!—გაუმეორა ფაშამ... დაუძახა კიდევ და ალიც თითქო გამოერკვაო...

— ვინ არის აქ!?—მრისხანეთ შესძახა მან.—ვინ მეძახის მე ალის!? ვის გონია რომ მე ალი ვარ!?.. ააა! სოლეიმან ფაშა, ეს თქვენა ხართ?...

— შვილო ალი!.., ფაშა მიუახლოვდა...

— შორს! მე არც ალი ვარ და არც შვილი შენი!..

— გონება მოიკრიბე შვილო შეუძლოთ ხარ!... ფაშას საშინელი საწამლავი გულსა სწვავდა.

— გონება მოვიკრიბო!?. სოლეიმან [illegible]

— ვინ უნდა იყ[illegible] ალი, ჩემი შვილი...

— სოლეიმან ფაშა, ვინა ვარ მე!?

— შვილო ალი... რა ამბავია...

— სტყუი, ხმა?—შეუყვირა ალიმ... მე შენი შვილი არა ვარ... ჩემი დედ-მამა, რომელთაც შენ ბაჯაღლო ოქროებით ჩემი თავი წაართვი—დღეს აქ არიან... მე ვნახე...

— მაშ აგრე?!—დაიწყო ახლა ფაშამ. ფაშა მიხვდა, რაც ამბავი იყო, გაიგო ყველაფერი... კეთილი! არას დაგიფარავ... შენ ნაყიდი მყავხარ—დღეს ჩემი საკუთრება ხარ... სხვა მამა არა გყავს შენ გარდა ჩემისა და გიულბახარ დედაა შენი... ჩვენ გაგზარდეთ—კაცი გაგხადეთ... ახლა მიდიხარ... და მეუბნები—ვნახე ჩემი დედმამაო... სტყუი შენ თავათ, უმართლო შვილო, და არა მე... რა გაბადია შენ იმათი!?..

— სისხლი, სისხლი?—შეუყვირა ქიშვარდიმ...

— სისხლი?! ბალღამათ გაქცევ ემაგ სისხლსა შენსა და შენიანებსაც... ჰა ჰა! სოლეიმან ფაშა აგრე ადვილათ არ გადავა თავის სიტყვას!.. მაშ, შენი დედ-მამა აქ არის? საუცხოვოა... აბა, ნახონ რაც დაუჯდებათ ჩემი პირობის გატეხა... შენც აქ ჩაგალპობ!..

გაბრაზებული ფაშა გამოვიდა ოთახიდან, გადურაზა კარები და დარაჯი მიუჩინა.

— მოვლეთ მთელი სტამბოლი,—ბრძანებას აძლევდა მეორე წამში სოლეიმან ფაშა რამდენსამე კარის კაცს,—სადაც უნდა იყონ, თვით ქვესკნელშიც მოსძებნეთ გურული ცოლ-ქმარი, რომელნიც ამ დღეებში უნდა ჩამოსულიყვნენ აქ. სახელი მათი ლევან და ესმა. გასწით თქვენგან ვისაც უფრო სწყურია სიცოცხლე და სიმდიდრე—საღამოს დავინახავ...

მდევრებმა მოკურცხლეს...

XI.

— ალაჰი იყოს შენი შემწე!—მიეგება მეყავახანე ჯავახი ვაქირს.

— ალაჰმა ნუ იცის ჩვენი ფაშის თავი და ტანი!—მიუგო ვაქირმა და ტახტზე მოიკეცა.

— რა ამბავი იცი?!—კითხა ჯავახმა და თან აჩქარებული გულის ძგერა იგრძნო.

— ეს ვაქირი ჯავახის დროსაც იყო ფაშის სასახლეში: იმან დაწვრილებით იცოდა ყოველი ამბავი—იცოდა, რომ ჯავახი იყო ნათლია ლევანისა და ესმას შვილისა. და ფიქრობდა,—თუ კი სტამბოლში სადმე უნდა იყვნენ, უთუოდ ნათლიასთან იქნებიან ის გურულებიო. ჯავახმაც იცოდა ყველა ეს და გულის ძგერაც მისი ქონდა.

— რაღა რა ამბავი—უთხრა ვაქირმა. გახსოვს, რა გაბრაზებული იყო ფაშა იმ დღეს, შენ რომ ციხეში დაგამწყვდია. დღევანდელ გაბრაზებასთან ნიმუშათაც არ ჩაითვლება ის მაშინდელი გაბრაზება.

— მიზეზი!!. კითხა ჯავახმა, თუმცა მას ახლა მიზეზიც გაგებული ქონდა:—ფაშას გაუგია ლევანისა და ესმას ჩამოსვლაო—გადაწყვიტა ჯავახმა.

- მიზეზი? ვერა, ვერ გეტყვი... ოჰ, რა დავიქანცე, ერთი სულის მოსაბრუნებელი რამე დამალევიე.

ჯავახსაც ეს უნდოდა. მაგარმა სასმელმა ააჭიკჭიკა ვაქირი და ჯავახმა ყველაფერი ამბავი შეიტყო... ფაშის ერთგულ მდევარს მალე მკვდარივით დაეძინა... ჯავახმა აღარ დააყოვნა. გახადა ტანისამოსი და თვითონ ჩაიცვა, შემდეგ ზურგზე მოიდვა, ჩაათრია სარდაფში, მოუსვენა იქ და გასწია ფაშის სასახლისაკენ.

——

შუაღამეზე გადასულიყო. სოლეიმან-ფაშა გაბრაზებული ზომავს ოთახის იატაკს. უზომო მღელვარება ემჩნევა ფაშას და მიზეზიც აქვს:—ალი ნუგეში, დიდება და სახელი იყო იმისი. ალის დაუთმო მან ის გავლენა, რომელიც პორტაში ქონდა, ალის დაუთმო თავის ადგილი და ყველა ნათლად ხედავდა, რომ ამ დათმობით საქმე წაგებაში არ იყო. სამკვიდრო შვილმა უფრო გააბრწყინა...

და დღეს სოლეიმან ფაშას ხელიდან ეცლება ეს სიმდიდრე, სახელი, განძი—ალი... მერე რა დროს! რუს-ოსმალოს ომი კარზე იყო მომდგარი,—და ალი სწორეთ ოსმალეთის იმ ნაწილს განაგებდა და მართავდა, სხვათა შორის, რომელსაც ამ ომის დროს ყველაზე მეტი საფრთხე მოელოდა—ეს ნაწილი ქობულეთი იყო...

— რა დროს, რა დროს გამიჩნდა აქ ის გიაურები!..

მეკარემ კარი შემოაღო.

— რა ამბავია!?.

— მდევრები...

— ჰო, რაო! დაბრუნდენ ხელცარიელნი განა?!.

— დ... დ... ია ხ...

— მომგვარე ყველა!..

მეორე წამს ფაშის წინაშე ქედ-მოხრილი წარსდგენ მდევრები.

— რა ქენით—ბევრი ისეირნეთ?!. ალაჰს შევევედრეთ, ხვალაც აგრე ხელცარიელი არ დაბრუნდეთ. წადით, იფხიზლეთ და იდარაჯეთ... სასახლიდან ერთი სიტყვა არ გავიდეს!! გასწით—ვაქირი აქ დარჩეს...

ყველა გავიდა, გარდა თავ-სახე ახვეული ვაქირისა... ვაქირისა?—არა ეს ჯავახი იყო, ვაქირათ გადაცმული, თავ-სახე-ახვეული ქონდა. ფაშასთან ეგ არ სჭიროდა. მონა ბატონს სახეს ისეც ვერ აჩვენებს—ქედ-მოხრილია მის წინაშე, მაგრამ სხვებთან იყო საჭირო სახის დამალვა.

— ეგ რა მოგსვლია შენ?..

— ხევში გადავიჩეხე, მწყალობელო, ძებნის დროს...

— მაშ შენ ამაღამ ვერ შეიძლებ ფხიზლობას?..

— სანამ ცოცხალი ვარ, თქვენს სამსახურსაც შევიძლებ...

— იმიტომ, რომ მე შენსავით სხვას არ ვენდობი... აი, წაიღე ეს გასაღები... იმის ოთახისაა... შეხვალ და თუ რაც იარაღი იყოს, არ დასტოვო... თავს არაფერი აუტეხოს... კარებზე რიგ-რიგათ ადარაჯე, აფხიზლე ორ-ორი კაცი... შენ იცი... გასწი... მე ამაღამ შინ არ ვიქნები... სამინისტროს რჩევაა... კარზე უბედურობა გვადგია და აქ კი... წადი... ფრთხილათ...—ესმის, მწყალობელო!..

ჯავახი გამოვიდა.

——

ფაშაც წავიდა სამინისტროში და ალის კარებზე მდგომ დარაჯებსაც აუტყდათ მთქნარება. რათ ულირდათ თვალის ერთი მოტყუება. მარტო ჯავახს არ ეძინებოდა, ვითომდა მწარე ტკივილისაგან მწარეთ კვნესოდა... გულში კი სიხარულით აღარ იცოდა, რა ექნა. მის ხელში იყო ქიშვარდის ოთახის გასაღები! ეს სამოთხის გასაღები იყო მისთვის.

— ვაი, რა კარგია ახლა ერთი ლაზათიანი ხვრინვის ამოშვება!—სთქვა ერთმა დარაჯმა.

— მერე და შე ოხერო, შენი ხვრინვა ჩვენ ძილს არ დაგვიფთხობდა?—სთქვა მეორემ.

— თქვენ, ეი, რას მიქარავთ... ძილს დაგიფრთხობდათ? ვითომ ძილს აპირობთ!—იკითხა მესამემ.

ხალხს არავითარი იდეალი არ აინტერესებს და მხოლოდ ერთმანეთის მეტოქეობასა და ჯიბრში ლევს სულს. სულიერი მამაც ვერ მიუძღვის კარგათ ერის საქმეს. აქაურ შეგნებულ პირებს უნდოდათ სამინისტრო შკოლა ოთხკლასიანათ გადაეკეთებიათ, მაგრამ ხალხი არ უჭერს მხარს და შკოლაც ისევ სამინისტროთ რჩება. მხოლოდ ერთია აქაური ხალხის სამაგალითო, რომ გზები გააკეთეს გვარიანათ.

ს. ტყაჩირი (ქუთ. მაზრა).

აქ დაარსდა წვრილი კრედიტის საამხანაგო ბანკი. საქმე ჯერჯერობით წესიერათ წარმოებს. მაგრამ ზოგი წევრი თავის მოვალეობას არ ასრულებს დანიშნულებისამებრ და ამიტომ შესაძლებელია ამხანაგობას უთანხმოება მოუვიდეს. თავჯდომარე და მისი ერთი ამხანაგი ფულის გამოტანის დროს ყველას აწერიებდენ ხელს და ახლა კი, როცა ფული გამოიტანეს მის დარიგების საქმეს არავის ეკითხებიან. თუ ასე თავიანთ ნებაზე იმოქმედა ამ ორმა პირმა, ცხადია მთელი ბანკის წარმოება აირევა და საზოგადოებაც ზარალს ნახავს.

დ. სამტრედია.

ერთი აქაური მოხელე და ერთიც კერძო ვექილი ამას წინათ დამთვრალან, შესულან ადგილობრივ „საზოგადო სახლში" აუტეხიათ ჩხუბი, უსვრიათ რევოლვერი, მიუყენებიათ შეურაცხყოფა თვით „ხახლის" პატრონისათვის, რომელმაც თხოვნა მისცა ადმინსტრაციას და სთხოვს ოქმის შედგენას და შემდეგ კი საჩივარს აპირებს და სამართალში უნდა მისცეს შეურაცხყოფისათვის.

სახალხო უნივერსიტეტი.

თითქმის ერთი თვეა, რაც სახალ. უნივერ. გამგ. სეზონი გახსნა და ამხნის განმავლობაში უკვე ოთხჯერ ლექციების კითხვა გამართა. სეზონი გაიხსნა ჩვენი ხალხისათვის თავდადებული პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის სახსოვრათ და პატივსაცემლათ გამართული დილით.

ამ დილაზე ბ-ნმა ალ. ბარსევანიშვილმა დამსწრეთ გააცნო განსვენებულის ბიოგრაფია, ტრ. ჯაფარიძემ კი განმარტა მისი ფასდაუდებელი ნაწერების და მოღვაწეობის დიდი მნიშვნელობა ჩვენი ერისათვის.

შემდეგ სამ კვირას ზედიზედ ალ. ჯანელიძემ წაიკითხა ლექციები ეროვნულ შემოქმედებასა და ეროვნულ ბრძოლაზე. მასთან ერთად ლექციები წაიკითხეს გრ. ნასარიძემ—ნიადაგი და მისი ფიზიკური თვისებები", ალ. ბარსევანიშვილმა საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი მეთორმეტეზე და გაბილაიამ—კოოპერაციასა და მის მნიშვნელობაზე.

ყველა აქ დასახელებული ლექციები საყურადღებო და შინაარსიანი იყო. ხოლო მე მინდა მკითხველის ყურადღება ცოტა ხნით განსაკუთრებით ახალგაზდა ლექტორ ალ. ჯანელიძის ლექციებზე შევაჩერო, რადგან ლექტორმა სწორეთ სადღეისო, საჭირბოროტო და ფრიად საინტერესო საკითხის განმარტება მოისურვა.

მეოცე საუკუნე პატარა მცირე რიცხოვან ერების, რომელთა არსებობის ხანმოკლეობა ბევრს საეჭვოთაც არ მიაჩნდა, ეროვნული გრძნობის გამოფხიზლებით, მათი მოძრაობით და თვითდაცვის მტკიცე სურვილის გამოხატვით დახასიათდება. ყველგან ეროვნული თვითშეგნება თანდათან ილვიძებს და ღვივდება, რომელიც, თვინიერ შოვინისტური ტენდეციებისა, სრულიად ბუნებრივ და სამართლიან თვითდაცვის, თვითარსებობის და საკუთარი სახის შენარჩუნების კეთილშობილურ გრძნობებსა და სურვილებს უნდა ემყარებოდეს. ჩვენშიც მიძინებულსა და ჩაფერფლილ ეროვნულ გრძნობას, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოფხიზლება დაეტყო. იმ წრეებშიც კი, სადაც ყველაზე ნაკლებ მოველოდით. დღეს ეს საკითხი, გარდა ზოგიერთ ჭკუამოკლე და გზააბნეული კოსმოპოლიტებისა, რომელთაც ჩვენი ეროვნებაზე ლაპარაკი სასაცილოთ და სამარცხვინოთ მიაჩნიათ, ყველას აინტერესებს და მისგან აღძრულ აზრებსა და კითხვებზე ყველა პასუხს ეძებს. ერთის მხრით ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ამ ლექციებზე „რადიუმი" ხალხს ვერ იტევდა. მასთან ლექტორი უბრალო, სადა, მთის ნაკადივით მორაკრაკე კოხტა და მშვენიერი ქართული ენით უმარტავდა აუდიტორიას ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს და ხალხიც დაუღალავი ყურადღებით სულგანაბული უსმენდა მას.

ბ-ნმა ჯანელიძემ ვრცლათ განმარტა ნაციის მცნება. ენა, სხვა ფაქტორებთან ერთათ, ეროვნების მთავარ საფუძვლათ აღიარა. დაწვრილებით ილაპარაკა ეროვნებისათვის ბრძოლაზე, ეროვნულ შემოქმედებაზე და მის პირობებზე და გადაგვარებაზე.

გადაგვარებული ერი ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს: თავისთავად ღირებულებას მოკლებული, თავის შემოქმედებით ვერც სხვა ერს შეძენს რაიმე ღირებულებას და როგორც მეტხორცი, აღიგვება დედამიწის პირისაგან. ეროვნულ ნიადაგს და ხალხოსნურ საფუძველის ნიადაგს და ხალხოსნუს საფუძველს მოწყვეტილი და გადაგვარების გზაზე დამდგარი კერძო პიროვნების მდგომარეობაც არ არის სანუგეშო. მისი ცხოვრება უშინაარსო და უმიზნოა და, ვით საჭე დამსხვრეული გემი მღელვარე ზღვაზე, ულმობელი ცხოვრების ტალღათა უდროო სხვერპლი ხდება.

ჩვენმა ხალხმა კარგი ხანია ფეხი შედგა გადაგვარების მოლიპულ გზაზე, მაგრამ ამ ბოლო დროს ეროვნული აღორძინების ცხადი ნიშნებიცა სჩანს, რომელიც ჩვენში მომავალში ეროვნული სულის შექმნის მომასწავებელია.

ლექტორი ხშირათ ექსკურსიას ახდენდა ხოლმე ბუნებისმეტყველების სამეფოში და იქიდან ამოღებული შედარებით, პარალელის გატარებით და სხვა კონკრეტიული მაგალითებით ნათლად ამტკიცებდა თავის ამა თუ იმ დებულებას.

ძალიან კარგს იზამს ბ-ნი ჯანელიძე თუ თავის ახლანდელ და წინათ ბუნებისმეტყველებიდან წაკითხულ ლექციებს ერთ-ერთ პერიოდულ გამოცემაში, მოათავსებს. ამით საშვალებას მიცემს მკითხველთა ფართე მასას ამ მეტად საყურადღებო ლექციებს გაეცნოს და იქიდან სულიერი საზდო ამოკრიფოს. **ფარი.**

დეპეში.

ომი ბალკანეთზე.

(პეტ. დეპ. სააგენტო)

სოფია. ბულგარელებმა ლიულებურგასში კიდევ ორი სურსათით დატვირთული მატარებელი წაართვეს ოსმალებს.

ბელგრადი. სერბიელებმა პრილონი დაიჭირეს და ბიტიზე მიდიან. ჩრდილოეთით ბერძნები მოდიან. ოსმალებმა უკან დახევის დროს ქრისტიანი მცხოვრებლები ამოხოცეს.

სოფია. ბაბაევსკიდან ლიულებურგასისკენ დახევის დროს ოსმალებმა სოფელ აივალში 200 ქრისტიანი მოკლა.

უსკიუბი. პრიზრენი აიღეს.

ვენა. ოსმალეთის მაიორმა ახმეტოვმა პლევლეს კორესპონდენტთან ბაასის დროს განაცხადა: ოსმალეთის ჯარი კი არა ოსმალეთის პოლიტიკა დამარცხდაო. ჯარი მოუმზადებელი იყო გარნიზონებმა ომის დაწყება 36 საათს შემდეგ გაიგესო.

მუსტაფაშა. ლოზენგრადიდან უკან დახევის დროს ოსმალებმა თავის პოლკის 15 ქრისტიანი ჯარის კაცი მოკლს. ერთი ღვდელი და მისი ოჯახი გაანადგურა.

ადრიანოპოლთან დროებით სიჩუმეა. ტყვეები ამბობენ: ადრიანოპოლში სურსათი ძალიან ცოტააო, ადრიანოპოლს ქვემოთ ორმა ესკადრამ ოსმალების ცხენოსანი ბატარეა გააქცია და ნაზიმის ორი ბატალიონი მოსპოო.

სტამბოლი. ლიულებურგასი, ჩერლუ, ბაბაესკი და ბუნარგისარი დაიბრუნეს ოსმალებმა. ბულგარელებმა დაიხიეს. მათ მისაშველებლათ ქოსტენდილის სამი დევიზია წავიდა. ბულგარლებს გამარჯვების იმედი კიდევ აქეთ.

დიდი სახელმწიფოების ელჩებმა გადაწყვიტეს პორტას მოსთხოვონ დააწესოს უცხოელთა დამცველი განყოფილება. დაუყენოს მცველები საყდრებს, [illegible] მროებს, ბანკებს და ქრისტიანების მკვლელებს სასტიკათ მოეპყრას; გადასწყვიტეს ამ მიზნისათვის სამხედრო გემები გამოიწვიონ.

ათინა. ბრძოლა მთელ დღეს გაგძელდა. გუშინ სალონიკის ვილაეტში დილის 6 საათზე დაწყებული ბრძოლა საღამოს 10 საათზე გათავდა.

პოდგორიცა. ჩერნოგორიის რაზმმა გენერალი ვუკოტიჩის სარდლობით გუშინ საღამოს იერიშით ცერნოვს-ელოვიცის სიმაგრეები აიღო ჩერნოგორიელებმა ხელში ჩაიგდეს ორი კრუპის ზარბაზანი და მრავალი სამხედრო მასალა. აიღეს ქალაქი ბერანი, სადაც მრავალ ზარბაზანსა და სხვა სამხედრო მასალას დაეპატრონენ. ჩერნოგორელებს 10 მოუკლეს და 31 დაუჭრეს.

ბერლინი. სტამბოლიდან ოფიციალური ცნობით ოსმალეთის ჯარმა ჩატალჯინისკენ დაიხია.

ათინა. სამხედრო მინისტრი იუწყება: ნიკოპოლიში გამარჯვებას შემდეგ, ბერძნებს პრევეზას აღება უნდოდათ, მაგრამ დილას რუსეთის, ავსტრიის და ბრიტანიის ელჩებმა ქალაქის წარმომადგენლებთან ერთად ქალაქის კაპიტულაციის წინადადება მოგვცესო.

ლონდონი. ბრიტანიის ფლოტის ამბავი სინამდვილეს მოკლებულია.

პარიზი. როგორც „ჰავასმა" გამოაქვეყნა ოსმალეთმა საფრანგეთს სთხოვა ომის შესაჩერებლათ ჩაერიე ჩვენს საქმეში და მცირე ხნის სამშვიდობო მოსალაპარაკებლათ, ომი დროებით შევაჩეროთო. საფრანგეთის მთავრობამ უპასუხა— ამ საქმეში ჩარევით ჩვენ საერთა შორო უფლებას დავარღვევთ და ევროპის სახელმწიფოების უთანხმოებას გამოიწვევთო. მოლაპარაკება უნდა მოხდეს ყველა სახელმწიფოს ნება დართვითო.

რუსეთი.

ხარბინი. მოვიდა ხუტუხტი, თავ. ტუშეგუბი, რომელმაც ჯერიმის სეიმის მონგოლები ააჯანყა. თავადი ძუანჩენძის საბჭოს მიგვარეს და ძალით აიძულეს

— ნეტავი თქვენ, რომ ძილზე ლაპარაკობთ, —ამოიკვნესა ჯავახმა.

— როგორ, ვაქირ, შენ არ გეძინება?..

-- ძალიანაც რომ მეძინებოდეს—ეს ტკივილები დამაძინებს...

— მაშ ხელდახელია კაცო: —იფხიზლე, ალაჰი შეგეწევა, ვაქირ, და ჩვენ დაგვაძინე.

— იძინეთ, ყარდაშ, მე რა დამაძინებს...

ხამეორება აღარ დასჭირებია ჯავახს: სულ რამდენიმე წამის შემდეგ დარაჯების ხმა-შეწყობილი ხვრინვა მოისმოდა.

და ეს ხვრინვა ტკბილ სიმღერათ ეჩვენებოდა გულამღვრებულ ჯავახს.

ცოტა ხანს შემდეგ ჯავახმა კვნესას აუმაღლა, ხველაც დაიწყო, ფეხების ფრატუნი. სურდა შეეტყო,—მაგრათ სძინავთ თუ არა ფაშას ერთგულ დარაჯებს... ეძინათ მკვდრებივით.

ჯავახ წამოდგა, მივიდა კარებთან, შედვა გასაღები და გადაატრიალა, კლიტემ ხმა გაიღო. ამ ხმაზე ერთი კიდევ მოიხედა ჯავახმა დარაჯებისაკენ,—ეძინათ. გადაატრიალა მეორეთ გასაღები და კარიც შეაღო. ოთახში ბნელოდა. ჯავახმა წუმწუმას გაკრა, გაანათა ოთახი.

ალი თავჩაკიდებული იჯდა ოთახის ყურეში.

— ქიშვარდი!—ჩუმათ დაუძახა ჯავახმა და მოუახლოვდა.

სინათლემ ალი გამოარკვია, წყნარათ თავი აიღო და ჯავახი რომ დაინახა, რომელსაც ამ დროს თავშალი მოეხსნა,— აღელვებული წამოიჭრა სავარძლიდან.

— ქიშვარდი!—გაუმეორა ჯავახმა.

— შენ ის... მეყავას... ჯავახ!—დაიყვირა ალიმ და მიაშურა მას...—როგორ, საიდან, სად არიან!?.—ეკითხებოდა იგი გახარებულ ნათლიას.

-- ახლავე, აი, იმათთან მივდივართ... მოემზადე და ფრთხილათ...

— მზათა ვარ... წავიდეთ, ნათლია.— და ალი გაეშურა.

დარაჯებს ადვილათ აცთენ... მაგრამ...

— რაღათ დადეგ?—კითხა ჯავახმა, როცა ალი თითქო რაღაც ძალამ უნებლიეთ გააქვავა გასავალ კარებში.

- აქ... ამ ადგილს... მომეგებებოდა ხოლმე ბუტბუტებდა ალი.

— როგორ, ქიშვარდი, რას ამბობ?..

— ახლავე... ახლავე... ერთ წამს შემიცადე... ვნახავ, ერთს შევხედავ... ახლავე...

— ქიშვარდი!..—ჯავახ წინ გადუდგა. სად მიდიხარ, ვინ უნდა ნახო... სანახავი იქ, ჩემს ყავახანაში გელის...

-- გამიშვი!.. მხოლოდ ერთი წამით. მე ახლავე.

— ქიშვარდი-მეთქი! ჩემო ნათლულო... დრო ძვირათ გვიღირს, მიგვასწრებენ... შენი თვალის წინ შენს დედ-მამას და მეც, შენს ნათლიას თავებს დაგვჭრიან... ქიშვარდი, არ იშლი?.. არა, არა, შენ ქიშვარდი არა ხარ,- ალი ხარ, დარჩი ალით...

— ეგ აღარა სთქვა... წავიდეთ... წა... არა!—ალი თავს ებრძოდა... წავიდეთ!— გადაწყვიტა მან ბოლოს და გასწია, ელვარებ დაექანა კიბეს. უკან გახარებული ჯავახი მისდევდა.

—

ძნელია ასაწერათ, რა სიხარულითა და გრძნობით შეხვდებოდენ ლევან და ესმა თავის ქიშვარდის...

განთიადისას გაბედნიერებულ მშობლებს, შვილსა და ნათლიას პატარა მსწრაფლი გემუკა მიაქროლებდა ქობულეთისაკენ.

თავდაპირველათ ნავსადგურის მთავრობამ ყოყმანი დაიწყო, როცა ალიმ საგანგებო საჭიროებისათვის დანიშნული გემი მოითხოვა. ალიმ ქაღალდი უჩვენა, სადაც ეწერა:—„ქობულეთის საქმეთა გამგე—ალი სოლემან-ოღლი".

— მე ომის გამო დაუყონებლათ მაგზავნიან ქობულეთს... ესენიც ქობულეთლებიც არიან—ბრძოლის ველზე მიდიან.

მგზავრებს გზა და გემი მიართვეს.

—

სამინისტროს ბჭობა მთელ ღამეს გაგძელდა. სოლემან ფაშა რომ შინ დაბრუნდა, პირველათ ალის ოთახისკენ გასწია, კარებზე დარაჯნი იდგენ; ამათ ფაშას მოახსენეს, რომ წუხანდელი მორიგი დარაჯნი ალიონზე წავიდენ ლევანისა და ესმას საძებრათ. კარი დაკეტილი იყო— ჯავახს ეს არ დავიწყებია.—ფაშამ იფიქრა—ალბათ, ვაქირიც იმათ გაყვა საძებარში და გასაღებიც რომ თან ექნესო.

მთელი ღამის უძინარი და დაქანცული სოლეიმან ფაშა მოსასვენებლათ წავიდა...

XII

ბათომის ვილაიეტის მცხოვრებნი მაღლისა, თუ დაბალი წოდებისანი ალის მოქმედებით განცვიფრებაში იყვენ მოსული. ალის სახელი გაეგონათ, მას იცნობდენ სოლეიმან ფაშის შვილათ, იცნობდენ, როგორც ნიჭიერ კაცსა და ოსმალეთის ბედ-იღბლისათვის თავდადებულს.

დღეს კი რას ხედავდენ ქობულეთელნი?!.

ალი სოლემან-ოღლი ოსმალეთის სახელმწიფოს ავს ქადაგობდა, ხალხს ურჩევდა ამ სახელმწიფოს ღალატს.

პორტამ ბძანება გასცა და დევნა დაუწყო ალის. ასეთ დროს, როცა ომი უკვე დაწყებული იყო და მტერი აგერ ბათომამდი მოღწეულიყო, რა კითხვაა,— ასეთი მქადაგებელი დიდი რისხვა იყო ოსმალეთისათვის.

ალიმ თითქოს უშიშარ ჰერკვეშ დაიბინავა დედმამა და თვითონ ჯავახთან ერთად მოხერხებულათ თავს იფარავდა იმ ქობულეთელთა სახლებში, რომელთაც იმის ქადაგებას გაყვენ. ალის მრევლი დღითიდღე იზდებოდა.

— ქიშვარდი, ქიშვარდი!—ემუდარებოდა ნათლულს ნათლია. დამიჯერე მაგ საქმეზე ხელი აიღე, ოსმალეთის მოპირდაპირე იმდენათ ძლიერია შედარებით, როგორც თვითონ ხედავ, წავიდეთ აქედან...

— არა, ჯავახ, უბრალოთ თავს იტკივებ მაგგვარი ხვეწნით... შენ რა იცი, რა შურისძიება მომბჯენია და მარჩობს... რათ დავდეგ აქ, რისთვის ვიბრძვი, ვერ მიმხვდარვარ? იმდენი გონება კი მჭირს, შევიტყო, რომ დღესა, თუ ხვალე ქობულეთს მოწყვეტენ ოსმალეთს? ეგ აუცილებელია. ოდესმე მათმადიდებელი ქობულეთელი, ქართველთან ერთად ერთ ერს, ერთ ქვეყანას შეადგენდა. უბედურმა ვარსკვლავმა ძმა ძმას განაშორა და ეს ქვეყანაც მოწყდა საქართველოს. მე ვამბობ:—ძმები კვლავ გადაეხვევიან ერთმანეთს? ქობულეთელი იგივე ქართველი, კვლავ გაუწვდის ძმურ ხელს ქართველს? ვეჭვობ! რისთვის ვარ მე აქ? რას ვებრძვი?—ამ ეჭვის გამო, მას ვებრძვი... რაც ღონე მაქვს,—აქ დავლევ, რაც ძალა მაქვს,—აქ მოვიხმარ, რომ ერთი ქობულეთელი არ დაიძრას აქედან. ვიგლოვებ, თუ ვიდღესასწაულებ ამ საქმემ იცის...

ალი ისეთი გულმოდგინებით, სიბეჯითით მოკიდებოდა ამ საქმეს, რომ ტყუილი იყო წინააღმდეგობა და ნათლიაც აღარ აწუხებდა.

იმ ხანებში პორტიდანაც ფიცხელი ბძანება მოვიდა;—"არამცა და არამც ხელიდან არ გაგისხლტეთ ეგ მამულის მოღალატე და ამასთან ერთად ის გურჯნი, რომელნიც სტამბოლიდან იახლა. ეცადეთ ცოცხალი შეიპყრათ და თუ არა მოაკვლევინეთ"...

ხოლო რა ამ ბძანებისა სცხელოდა ოსმალოს ჯარის მთავარსარდალს, როცა სწორეთ ამ ბძანების მოსვლის დღეს იძულებული გახთა ბათომიდან ბანაკი აეყარა.

—

ბათომს შესვლის დროს გამარჯვებულ ჯარს დიდძალი ქობულეთელნი შეეგებენ. მაგრამ ხანი გადიოდა და ქობულეთელთა რიცხვი საგრძნობელათ მცირდებოდა. მთელი ჯალაბობა ქობულეთელთა ოსმალეთს გადადიოდა. ხელის შემშლელი არავინ იყო, ახალი ბატონიც ამის წინააღმდეგი არ იყო.

ერთი-და ალი იბძოდა, მაგრამ დენა ხალხისა ვერ შეაჩერა და გულს აკვდებოდა. გულს სხვა სატანჯველი გაუჩნა: ჯავახი ორი დღეა წასულია და ქიშვარდიმ დედ-მამის არაფერი ამბავი იცის.

მესამე დღეს შებინდებისას ჯავახიც გაჩნდა. მაგრამ, ვაი, რაც ამბავი იმან მოიტანა. ოსმალოს ჯარს ხელთ ეგდო მისი დედა-მამა და სარდლის ბძანებით ორივე დაეხვრიტათ...

ერთი დღე უგრძნობლათ ეგდო ამ ამბვის გამგონე შვილი. ერთგული ნათლია თავს დატრიალებდა და აღარ მოელოდა, თუ იმის საყვარული ნათლული გამობრუნდებოდა...

საღამოს ალი გამოერკვა. ენერგიით სავსე იმის სახეს ნაღვლისა და ტანჯვის ნაოჭი დამჩნეოდა, თვალები ღრმათ ჩაცვენოდა და სიცოცხლის ნაპერწკალს ძლივსღა გამოსცემდეს.

— ჯავახ!—მისუსტებული ხმით სთქვა ქიშვარდიმ,—შენა ხარ ჩემთან?

— მე, თავს შემოგევლე,—უთხრა გახარებულმა ნათლიამ.

— კარგი ბედია... რომ...

— განა ეჭვი გქონდა—მოგშორდებოდი?!..

— შენც... ქობულეთელი არა ხარ... წასულიყავი...

ვაი, შენს ჯავახს. მე იმას ვგლოვობ, რომ სხვები ებარგება, თორემ განა მე...

— ებარგებიან კი, კიდევ მიდიან?!— ალი გაშმაგებული წამოიწია ლოგინზე.

შენ იყავი მშვიდობით,—ხალხი ყრუა... აბა, რას შეაგონებ... ერთი დიდი გემი დღესაც მიდის.

— დღესაც!... არა! ეგ არ მოხთება... კმარა სიბრიყვე... წავიდეთ ახლავე... ნავთსაყუდარში...

— ქიშვარდი!

-- ერთი სიტყვა!..—ნავთსაყუდარში!..

ალი ნახევრათ ჩაცმული გამოვარდა ოთახიდან და ნავთსაყუდრისაკენ გაეშურა. ჯავახ უკან დაედევნა...

—

ცუდი დღე გათენდა...

ზღვა საშინლათ ღელავდა.

დიდძალი ხალხი ირეოდა ბათომის ნავთსაყუდარზე. ქობულეთლების ჯალაბობით დიდი გემი სავსე იყო.

დაკრეს მესამე ზარი. გემი დაიძრა.

გემის ბაქანზე ერთ ოსმალელს გარს შემოხვევოდენ ქობულეთელნი და ყურს უგდებდენ მას მუსაიფს.

— მაშ, აი, ვინ ყოფილა ეგ ქიშვარდი?! მერე და შენ როგორღა მოხვდი აქ, ვაქირ?—კითხა ერთმა ქობულელმა.

— როგორც გითხარით,—მე ერთგული ყმა ვიყავი სოლემან ფაშისა. როცა რის ყოფით, თავი დავახწიე იმ დაწყევლილ ყავახანას, გავექანე ფაშასთან და რაც ამბავი იქ დამიხვდა, თქვენ მტერს. ფაშამ სიკვდილი გამისაჯა, მაგრამ თავი ვიხსენი დაპირებით, რომ ან ცოცხალსა, ან მკვდარს ხელში მოგცემ-მეთქი ალისა და იმის დედ-მამას... ჩემის მეცადინეობით იყო, რომ ალის დედ-მამა საიქიოს გავისტუმრეთ, მაგრამ, ვინც გვინდოდა, ეს კი გაგვისხლტა ხელიდან და რომ გიაურებში ყოფნა არ დამხარებოდა, ამასაც მალე მოვუსპობდი სიცოცხლეს....

ამ დროს მოგზაურთა ყურამდი მოაღწია რაღაც ხმამ. გემის კვალს მოყვებოდა პატარა ნავი, რომელიც მარდათ არღვევდა ტალღებს და ცთილობდა გემის დაწევას. ნავში ორი კაცი იყო. ერთი მძლავრათ უსობდა ნიჩბებს, მეორე კი გემისკენ ხელებ გაშვერილი ნავის წვერში იდგა...

-- ძმებო!! ქობულეთლებო!—კვლავ მოესმათ გემზე მჯდომთ, სად მიდიხართ, ვისთან მიხვალთ-.. რასა სტოვებთ, ვის ეთხოვებით... დაბრუნდით! დაბრუნდით!-..

გემიდან თავი გამოვარდა...

ნავის წვერში მდგომი კაცი დაბარბაცდა და პირ-ქვე ჩაემხო ზღვაში.

— ვაიმე, ქიშვარდი!!—დაიღრიალა მენიჩბემ და გადაყვა ნათლულს ზღვის უფსკრულში.

ვაქირი დიდი ჯილდოს მიიღებს სოლემან ფაშისაგან. **დ. მეხხი.**

1886 წ. სოფ. ჩიონი.

ჭურჭლეულობის და ავეჯეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში

ფ. ს. ფილიპოვისა

ყოველთვის მოიპოვება დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ფ აიანსის ჭურჭეული; საუცხოო ბროლისა და მინის საქონელი, საუკეთესო ლამპები ვარშავიდან და საზღვარგარეთიდან, აგრეთვე ჭიქა ემალ გამოლებული ჭურჭელი თეთრი ალიუმინის, ალპაკა და სპილენძის ქვაბები, ყავადნები, სარძევეები და სხვა სამზარეულო ჭურჭელი. სამოვრები, ნავთის სამზარეულოები [illegible] ვერცხლნარევი და ბრინჯაოთი ნაკეთები საქონელი. ვენური მოხრილი სუფრის ყოველგვარი და ბამბუკის ავეჯეულობა, ვარშავისა და ინგლისის ქარხნებიდან ლოგინები. ძეძლისა და საპირთარეშო სარკეები. სხვა-ფერი კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი, საზღვარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები, პატე—გრამაფონები და მათი ფირფიტები, პიანინოები და [illegible] ლები. ელექტრონული ლამპები და ყოველგვარი მოსაწყობელი, ორთქლით მრეცხავი მანქანები და საეკლესიო მოწყობილობა, დიდძალი რჩეული შპალერი 8 კაპეიკიდან ვიდრე მანეთ-ნახევრამდი თოფი. საუკეთესო ქარხნის მზეჭდავი მანქანის წარმომადგენლობა ქუთაისის გუბერნიის და ბათომის ოლქში მეკუთვნის მხოლოდ მე. ფასები მეტათ დაკლებულია.

სავაჭრო სახლი **გ. გოკიელის შვ-ებ**ი სავაჭრო სახლი

აუწყებს მოწაფეებს, რომ მათ შეუძენიათ დიდძალი საჭირო

საწერი, სახატავი და საკანცელარიო ნივთები,

რომელნიც პირდაპირ მწარმოებლებისაგან არის ნაყიდი კარგი პირობებით. სავაჭრო სახლმა ბევრ ნივთებზე გასულ წელთან შედარებით **ფასები დაუკლო.** ეს ფასეი, რომელიც ხელმისაწდომია და იაფია, კარგათ იცის ქუთაისის საზოგადოებამ.

რესპუბლიკას დამორჩილებოდა.

დეპუტატათ აირჩიეს: ყაზანში—ბაჟანოვი, სმირნოვი, ბედნევი, მარკოვნიკოვი და ბიტკოვი—ყველა ოკტომბრისტია, ძაზინი და იუხტანოვი მემარჯვენეები. ვორონეჟში — ძოტლიაროვი—მემარჯვენე. ტომსკში—ნეკრასოვი, პეპოლიაევი და დუროკი—კადეტები და ვერშინი—მემარცხენე. ძავკავში—ძარაულოვი—ყაზახების ჯგუფის მომხრე. რიაზანში—ოსტროუმოვი—მემარჯვენე და როძევიჩი—ოკტომბრისტი.

„სიყვარული“.

(გუი დ-მოპასანისა).

ჩვიდმეტ ივლისს 1883 წ., დილის სამის ნახევარზე, სამზარეულოში დამწყვდეული ძაღლების ყეფამ გამოაღვიძა პატარა საყარაულოში მცხოვრები ბეზიეს სასაფლაოს დარაჯი. ის ძირს ჩამოვიდა და შეხედა, რომ ძაღლი გაცხარებით ყეფდა და სუნავდა კარის ზღურბლს, თითქო დაენახოს ვინმე სახლის ირგვლივ ოხეტიალე. დარაჯმა თოფი აიღო და ფთხილათ გარეთ გავიდა.

ძაღლმა მიაშურა გენერალ ბონიეს ხეივანს და მაღლე შეჩერდა ქ-ნ ტამუზოს ძეგლთან.

დარაჯი წყნარათ მიუახლოვდა და მალანვერის ხეივანში შეამჩნია მკრთალი სინათლე; გაიარა საფლავები და შეიქნა მოწამე შემაძრწუნებელი სანახაობისა. ვიღაცას ამოეღო საფლავიდან დამარხული გვამი ახალგაზდა ქალისა. ამ შესაზარ სანახაობას ანათებდა მკრთალი შუქი პატარა მიწის ზვინზე დადგმულ სანათისა. ამ საბრალოს თავს დაეცა დარაჯი ვენსენი, წააქცია ის, შეუკრა ხელები და პოლიციაში წაიყვანა. იგი ამოჩნდა ადგილობრივი დამსახურებული და შეძლებული ვექილი გვარათ პურბატაილი.

სასამართლოში ბრალმდებელმა მოაგონა დამსწრეთ სასწაულებრივი მოქმედება სერჟანტ ბერტრანისა, რამაც გამოიწვია მათი გულისწყრომა.

როდესაც ბრალმდებელი დაჯდა, აღელვებული ბრბო გაიძახოდა: „დასაჯეთ ეგ, დასაჯეთ“! თავჯდომარე ბევრს ეცადა, რომ წესიერება აღედგინა და შემდეგ დიდებულათ წარმოსთქვა. „ბრალდებულო, რას იტყვით თავის დასაცველათ“?

პურბატაილს ნება მისცეს თვითონ დაეცვა თავი და ზეზე წამოდგა. ის იყო მშვენიერი ახალგაზდა, მაღალი და შავგრემანი სახის გაბედული გამომეტყველებით.

ხალხში სტვენა გაისმა.

იგი არ შეკრთა, თამამათ დაიწყო ლაპარაკი, თავიდან ცოტა ყრუთ და დაბალი ხმით, მერე კი თანდათან აუწია.

ბ. ბ. თავჯდომარე და ნაფიცნო მსაჯულნო! მე თითქმის არაფერი მაქვს სათქმელი.

ქალი, რომლის საფლავიც მე შევმწიკვლე, იყო ჩემი საყვარელი. მე ის მიყვარდა. ჩემი მისდამი სიყვარული არ იყო უბრალო გრძნობათა ღელვა და ჩვეულებრივი სინაზე გულისა და სულის, არამედ უსაზღვრო, არაჩვეულებრივი და შეუკავებელი გულისთქმა: მომისმინეთ:

პირველათ მასთან შეხვედრის უმალ განვიცადე საოცარი გრძნობა, რაც არ გავდა არც განცვიფრებას, არც აღტაცებას, არც ელვისებრ აგზნებას... ეს იყო წარმტაცი ბედნიერება. მისი ნაზი მიხვრა-მოხვრა, მომხიბლველი ხმა და მთელი მისი არსება მგვრიდა უსაზღვრო სიტკბოებას. მე მეგონა კიდევაც ვიცნობდი მას. მასში ვპოვე რაღაც ჩემი სულისა და გულის მონათესავე. ის იყო პასუხი იმ მუდმივ და ბუნდოვან სულის კვეთებასა, რომელსაც ჩვენ მთელს ჩვენ სიცოცხლეში მივაპყრობთ იმედისაკენ. როდესაც უფრო დაახლოებით გავეცანი, დიდ ბედნიერებას განვიცთიდი. მისი ხელის შეხება შეადგენდა ჩემთვის ისეთ ბედნიერებას, როგორის მსგავსი ადრე მე არ ვიცოდი; მისი ღიმილი გამოიწვევდა ჩემში გიჟურ სიხარულს; მაშინ მე მომინდებოდა სირბილი, ცეკვა და ბავშივით იატაკზე კოტრიალი.

ამრიგათ შემიყვარდა იგი. ის შეადგენდა ჩემს სიცოცხლეს. მეტი არც მინდოდა რა და არცა რას ველოდი ცხოვრებაში.

ერთ საღამოს, მდინარის პირათ სეირნობის დროს, წვიმამ მოგვასწრო.

მეორე დღეს მას ამოაჩნდა ფილტვების ანთება, რამაც ერთი კვირის განმავლობაში ბოლო მოუღო.

მომაკვდავის სულთა ბრძოლის დროს შიში და მღელვარება მიშლიდა რამის გაგებას, მოსაზრებას. რომ მოკვდა, თავზარდაცემულს აზროვნება არ შემეძლო.

მე ვქვითინობდი.

ჩემი მწვავე და სასტიკი ნაღველი იყო ტანჯვა შეშლილისა; მისი გვამის დანახვა წყლულს მიორკეცებდა და განვიცთიდი ფიზიკურ ტკივილს.

მაგრამ, როცა მომაშორეს, მიწაში ჩაფლეს, გონს მოვედი და ისეთი სულიერი ტანჯვა-ვაება ვიგრძენი, რომ ჩემი სიყვარულიც კი არაფერი იყო ამ ტკივილთან შედარებით.

გაწუყრელი თან მდევდა აზრი: აწ მას ველარ ვიხილავ!

როცა კაცი სულ ამაზე ფიქრობს, მას სიგიჟე შეიპყრობს. წარმოიდგინეთ! ერთადერთი არსება, რომელიც თავს გირჩევნია და რომლის ტოლი ქვეყნათ არ გეგულება. იგი შენ გერგო, მასთან ერთად შეადგენდი იმ მისტიურ კავშირს, რომელსაც ეწოდება სიყვარული. მისი ელვარე თვალები სივრცეზე ულრმესია და ქვეყანაზე უმშვენიერესი. ამ არსებას უყვარხარ და როდესაც გელაპარაკება, ხმა მისი სულს ბედნიერებას ანიჭებს.

უეცრათ ხელიდან გეცლება—კვდება. გესმით თქვენ ამ სიტყვის მნიშვნელობა? არაოდეს, არაოდეს და არსად იგი არ იქნება. სამუდამოთ დახუჭა თვალები და სმენას მოაკლდა მისი ნაზი და სიტკბოებით აღვსილი ხმა.

ვერაოდეს ვერ იხილავ მის ლამაზ სახელს, ვერაოდეს, ვერაოდეს, ვერაოდეს! შეიძლება გარეგან სახის წარმოდგენა: შესაძლოა აღადგინო საგანს სრული სინამდვილით, მაგრამ მისი ფიზიკური და ფსიქიური არსების კვლავ აღდგენა შეუძლებელია!

ათასობით, მილიონობით შეხვდები ქმნილებათ, მაგრამ მათ შორის იგი არ იქნება. ნუთუ ეს შესაძლებელია. ამაზე ფიქრი, სიგიჟემდი მიგიყვანს... იარსება ოც წელს და გაქრა სამუდამოთ! აზროვნებდა, მიღიმოდა და ვუყვარდი... აღარაფერი არ დამრჩენია! მისი ნორჩი, მგზნებარე, ნაზი, თეთრი, მშვენიერი ტანი ლპება კუბოს ფსკერზე ცივი მიწის ქვეშ. სად არის მისი სიყვარული, სად? ველარ ვიხილავ ვერაოდეს! თვალწინ მიდგა მისი გახრწნილი სხეული, რაც მოსვენებას არ მაძლევდა; მაგრამ შეიძლება კვლავ ის სახე დავინახო? და გადავწყვიტე მისი დანახვა ერთხელ კიდევ!

ბარ-ნიჩბით სასაფლაოს მივაშურე. პატარა სანათი გზას მინათებდა. მოვძებნე მისი საფლავი და ამოვიღე კუბო. ახადე თავი! სამაგელი სუნი გახრწნისა! ოო, ეს მისი საწოლია ის სურნელებით გაჟღენთილი. ავალე რა, კუბო, სანათის მკრთალ სინათლეზე მისი სახე დავინახე. გალურჯებული, წამობერილი, შესაზარი! ზიზღით აღვივსე, მაგრამ ვსტაცე ხელი თმაში და მინდოდა დავკონებოდი.

აი, ამ დროს თავს დამესხა დარაჯი.

მთელი ღამე თვალწინ მიდგა მიცვალებულის გახრწნილი გვამი, წარსული მაგონდებოდა...

რაცა გსურთ, ის მიყავით!..

დარბაზში გასაოცარი სიჩუმე ჩამოვარდა. გეგონებოდათ, დამსწრენი, კიდევ უცდიან რასმესო. მსაჯულნი სათათბიროთ გავიდნენ. ბრალდებულს აღელვება არ ეტყობოდა მსაჯულთა დაბრუნებისას... იგი გაამართლეს.—არც შერხეულა. ხალხი მას ტაშს უკრავდა...

გ. ბ—ძე.

იმერეთის ეპარქ. ბლაღოჩინთა საყურადღებოთ.

დროა ჩვენს საზოგადოებას შეგნებული ქონდეს, რა სასარგებლო და მნიშვნელოვანია ჩვენი წარსული, ჩვენი მამაპაპათა საქვეყნო ნაამაგევი. ძველი ციხეები, ეკლესიები, ნანგრევები და ყოველი ქვის ნატეხიც-კი, თუმცა უტყვი, მაგრამ, ხმამაღლა მღაღადებელია იმისი, თუ როგორის წვითა და დაგვით შეირჩინეს ჩვენმა ძველებმა: სჯული და სარწმუნოება, ენა, ზნე-წესი და ხალხოსნობა... ქუთაისის, „ბაგრატის ტაძრის“ ზღუდის გამკეთებელი „კომისია“ დაინიშნა და მუშაობას განაგრძობს. გაიგეს ეს თუ არა, ღმერთმა უშველოს ჩვენს ერს, სადაც მოწოდების ფურცლები გავგზავნეთ, არავის თავის წვლილი არ დაუშურავს. მრავალმა კეთილ-შეგნებულმა პირმა, ჩვენგან მიუმართავათაც ინება და მოგვაწოდა, მაგალითათ: ილუმენმა ნაზარიმ (ნ. ლეჭავამ ვოლინის გუბერნიიდან 23 მანეთი, არისტოტლი ქუთათელაძემ 5 მან. ღვდ. ი. ჩლაიძემ 5 მან. ღვდ. ა. კვანტრაძემ 5 მან. 10 შ. ღვდ. პ. ყიფშიძემ 30 შ. შეგვიკრიბა. წარმოიდგინეთ, უცხოელთაგანაც 20 მან. მივიღეთ სრულიად მოულოდნელათ და სხვა მრავალთაგანაც...

ჩვენს ბლაღოჩინებს ყოვლად სამღვდელოსაგან ნება დართული მოწოდება და მასთან თითო აბაზიანი წიგნაკები (ისტორიული მიმოხილვა ბაგრატის ტაძრის შესახებ) გავუგზავნეთ, რის ფასი და შეწირულებაც უნდა გამოეგზავნათ. ზოგიერთმა ბლაღოჩინმა გამოგვიგზავნა; დანარჩენი კი სდუმს! ერთმა ბლაღოჩინმა, (დ. ნს - ძემ), რომელსაც მოწოდებასთან ერთად დახაზული ქაღალდი გავუგზავნეთ შეწირულებათა ჩასაწერათ, უკანვე დაგვიბრუნა ცარიელი ქაღალდი! ალბათ არც კი უჩვენებია სხვა ღვდლებისათვის... რას მივაწეროთ ასეთი გულგრილობა ზოგიერთი ბლაღოჩინზსა?! ვინც ასეთი მნიშვნელოვანს და სავალდებულო მოწოდებაზე წაიყრუა, ჩვენს სავალდებულოთ ვთვლით, მათი სახელი გაზეთის ფურცლებზე ავნუსხოთ*).

წევრი კომიტეტისა.

---

*) ვთხოვთ „შინაური საქმეების“ რედაქციას, ეს წერილი გადაბეჭდოს.

რედაქტორ-გამომცემელი
ბ. ე. ჭელიძე.

ლანჩხუთის წიგნისა და კანცელარიის მაღაზია

აცნობებს ლანჩხუთის რაიონის მასწავლებლებს, რომ აქ დამზადებულია და იყიდება ყოველგვარი საკანცელარიო—სასწავლო ნივთები: **რვეულები, დღიური,** საუკეთესო **კალმები, მელანი ქაღალდი** და სხვ. ამასთანავე აქვე იყიდება ყოველხაირი ქართული და რუსული გაზეთები და ჟურნალები.

პატივისცემით ვ. კალანდაძე.



ქუთაისში ასეთი ფარნები არის 160.

ნ. ს. ტმერკი.

ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა.

სპეციალისტური სავაჭრო

ნავთის—კალინო ლამპები და ფარნები, 75% იაფი ელექტრონულზე, იოლათა და ადვილათ მოსავლელი.

ნავთისავე მრავალი ფეჩები, სამზარეულო, სათფური და პრიმუსები.

ფასები ძლიერ დაწეულია.

მოითხოვეთ პრეისკურანტები.

მეტერსი.

ფეჩი.



ძმ. ე. და პ. საკაშვილები

ქუთაისში.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი

რკინეულობის სავაჭრო

პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში, და შესამჩნევათ გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლათ, მაგ., კარ-ფანჯრებისა და ბუხრ-ღუმელების; ყმოწყობილობა, დურსმანი რკინის ნიჩბები, წერაქვები და სხვა., სახელოსნო ხელსაწყოები ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, „შტი", სხვადასხვანაირი ემალიანი ჭურჭლეულობა, ყოველგვარი საღებავი წამალი, მშრალიერი, ელექტრონის ზარების მოწყობილება, ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობისა.

ფასები ზომიერია.

გაიხსნა ახალი. სავაჭრო სახლი

სრულიად ახალი საქონლით

ივანე მარკოზის-ძის კაკანაძისა

ქ. ქუთაისში, მიხეილის ქუჩა, ძმათა გოკიელის სავაჭროს გვერდ.

სავაჭრო სახლში მოიპოვება ახლათ მიღებული: ყოველგვარი საბაკალეინო და საგასტრონომიო საქონელი. საზღვარგარეთის და რუსეთის ყოველნაირი მაგარი სასმელი, სამკურნალო და სუფრის ღვინო.

და აგრეთვე ყველა ცნობილი ფირმის საკონდიტერო ტკბილეულობა და კონსერვები.

ფასები ზომიერი, ყოველი კონკურენციის გარეშე და შეუვაპრებლათ.

ალექსანდრე რ. თაბაგარის მაღაზია ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, სობოროსთან.



მიღებულია დიდძალი გრამოფონები, ველოსიპედები, საქსოვი და საკერავი მანქანები, გიტარები და მათი მოწყობილობა. ყიდვა შეიძლება როგორც ნაღდზე, აგრეთვე ნისიათ,(თვიური შემოტანით). ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფრის კარგათ და ზომიერ ფასათ. გრამოფონის ფირფიტები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირაში.

ქ. ქუთაისი, სტამბა, „ძმობა", ქაზაკოვის შესახვევი, სახლი № 17